



საია და კონსტიტუციის 42-ე მუხლი პოლიტიკტიმრების მიერ გავრცელებულ განცხადებას ეხმაურებიან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და კონსტიტუციის 42-ე მუხლმა, 2012 წლის 15 ნოემბერს, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის საქმიანობასა და პოლიტიკტიმრების მიერ გავრცელებული განცხადების შესახებ პრესკონფერენციას გამართეს.

2012 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შეიქმნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და [] 42-ე მუხლი A [] სხვ ორგანიზაციებთან ერთად, შევიდა ამ ჯგუფის შემადგენლობაში.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გადამწყდა, რომ სტატუსის განსაზღვრა მოხდებოდა სწორედ ევროპის საბჭოს სტანდარტის შესაბამისად.

სამუშაო ჯგუფის მუშაობისას გამოვლინდა არაერთი პრობლემა, რომლებიც ხელის შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ჯგუფის ეფექტიანად მუშაობისათვის. სამუშაო ფორმატი და ვადები არ იძლეოდა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. ჩვენ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" მივიჩნევთ, რომ ჯგუფმა უნდა მოამზადოს დასაბუთებული, ობიექტური და სამართლიანი რეკომენდაციები თითოეული საქმის შესახებ, რათა თავიდან ავიცილოთ ზედპირული შეფასებები, უზუსტობები და უსამართლო მიდგომები. ეს შეთავაზება არ გულისხმობდა ყველა საქმის მასალის დეტალურ შესწავლას და პროცესის წლების განმავლობაში

გაჭიანურებას, არამედ იმ აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტების შეფასებას, რაც აუცილებელი იქნება პოლიტიკტიმრების სტატუსის მისაზღვრელად

ქ. ვახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2012 წლის ნოემბერი. ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მიუხედავად ჩვენი არაერთი მცდელობისა, ჯგუფის მუშაობის ფორმატის შეცვლა ვერ მოხერხდა და ჯგუფში აღნიშნულის თაობაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

გემოაღნიშნული მიზეზების გამო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და და "კონსტიტუციის 42-ე მუხლმა" დატოვა ჯგუფის შემადგენლობა.

ჩვენ მიერ ჯგუფის დატოვებამ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება გამოიწვია საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებში. გავრცელდა ბევრი არასწორი ინფორმაცია, რომ საია არ აღიარებს საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობას, არ უწევს მათ დახმარებას და არ შეუსწავლია თავის დროზე პოლიტიკური პატიმრების საქმეები.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ უკვე წლებია ვმუშაობთ პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე, ვუწევთ მათ საადვოკატო დახმარებას საქართველოში და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. შესწავლილი გვაქვს არაერთი პოლიტიკური პატიმრის საქმე, გამოცემული გვაქვს ანგარიშები და კვლევები.

მაგალითიად, საიამ 2010 წელს შეისწავლა 24 პოლიტიკური პატიმრის საქმე, აღნიშნულის თაობაზე სპეციალური ანგარიში გამოიცა 2011 წელს. ამ ეტაპზე კი ვსწავლობთ 2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა საქმეებს - ჯამში 30 საქმე (მათ შორის ზაზა სამხარაძის, გია სალუქვაძის საქმეებს, ე. წ. ყინწვისის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა საქმეებს რომლებიც დღეს ჩვენდა გასაოცრად ხელს აწერენ განცხადებას საიას წინააღმდეგ) რომელთაგან ზოგიერთი არის ჯგუფური საქმე და მოიცავს, დაახლოებით, 50 პირის სისხლის სამართლის საქმეს.

ჯგუფის დატოვების მიუხედავად, ჩვენ, საია და კონსტიტუციის 42-ე მუხლი, აქტიურად განვაგრძობთ მუშაობას პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე. ვაპირებთ, ვითანამშრომლოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან და კომიტეტის სხდომაზე წარვადგინოთ მოსაზრებები ჩვენს მიერ შესწავლილ პოლიტიკური პატიმრების საქმეებთან დაკავშირებით. ჩვენი დასკვნების ნაწილი უკვე გაეგზავნა პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს და ჩვენ გავაგრძელებთ ამ სახის დასკვნების მათთვის მიწოდებას, რათა დავეხმაროთ ჯგუფს მუშაობაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

